

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
შპს "სამფარმა"

სარჩევი

- ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
- მოგება-ზარალის ანგარიში
- ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებულ შენიშვნები:

- ორგანიზაცია
- ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

შპს „სამფარმა“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც რეალურად ასახავს შპს „სამფარმა“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ფირმის ფინანსურ შედეგებზე;
- ფირმის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე საქმიანობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ფირმაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ფირმის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ფირმის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ფირმის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აღმოჩენასა და აცილებაზე.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2019 წლის 26 სექტემბრს.

დირექტორი:

2019 წ. 26 სექტემბერი

სერგო ხოჯაშვილი



ქუთაისი, საქართველო შპს "სამფარმა"
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
 ვალუტა: ლარი

	31-12-18	31-12-17
აქტივები		
ფული და ფულის	13941	9270
ექვივალენტები		
სასაქონლო-	179251	175745
მატერიალური მარაგი		
მოკლევადიანი	225744	182661
მოთხოვნები		
სულ მოკლევადიანი	418936	368676
აქტივები		
ძირითადი საშუალებები	3383	3929
გადავადებული	5212	5209
საგადასახადო აქტივი		
სულ გრძელვადიანი	8595	9138
აქტივები		
სულ აქტივები	427531	377814
ვალდებულებები და კაპიტალი		
მოკლევადიანი	427377	371060
ვალდებულებები		
დარიცხული ვალდებულებები		6750
სულ ვალდებულებები	427377	377810
საწესდებო კაპიტალი		
მოგება ან/და ზარალი	154	4
სულ კაპიტალი	154	4
სულ ვალდებულებები და	427531	377514
კაპიტალი		

დირექტორი



შპს "სამფარმა"

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ვალუტა: ლარი

ფულადი
სახსრების
გასვლა

ფულადი
სახსრების
შემოსვლა

საოპერაციო საქმიანობა
მოთხოვნები მიწოდებიდან და
მომსახურებიდან

2981271

მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმ.

(2938904)

ვალდებულებები

გადახდილი გადასახადები

(37696)

ცვლილება პერიოდში

სასესხო საქმიანობა

მიღებული სესხები

საპროცენტო ხარჯები

ცვლილება პერიოდში

საინვესტიციო საქმიანობა

კაპიტალური დანახარჯები

გადახდილი დივიდენდები

ცვლილება პერიოდში

კურსთა შორის სხვაობიდან

მიღებული ზარალი

ცვლილება პერიოდში

ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის
დასაწყისში

9270

ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის
ბოლოს

13941

წმინდა ცვლილება პერიოდში

დირექტორი :



შპს "სამფარმა"

მოგება ან/და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ვალუტა: ლარი

ამონაგები	3093198
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(2843198)
ადმინისტრაციული ხარჯი	(249846)
არასაოპერაციო შემოსავალი	
მოგება	154

დირექტორი



განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაზე

ზოგადი ნაწილი

შპს "სამფარმა", როგორც სამეწარმეო სუბიექტი და კერძო სამართლის იურიდიული პირი, სამეწარმეო რეგისტრირებულია 2009 წლის 18 აგვისტოდან და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი: 212921089. ფირმაში 100 % წილის მფლობელია: 60001003019, სერგო ხოჯაშვილი. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ფარმაცევტული საქონლით საცალო-საბითუმო ვაჭრობა;

სააღრიცხვო პრინციპები დ მეთოდები

შპს "სამფარმა", აწარმოებს სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც ეფუძნება ბუღალტრული აღრიცხვის ძირითად პრინციპებს. სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოება მიმდინარეობს სტანდარტებით დადგენილი წესების და მოთხოვნების შესაბამისად. შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება წარმოებს დარიცხვის მეთოდის საფუძველზე. ფირმა განეკუთვნება მე-3 კატეგორიას. უფლებამოსილია და იყენებს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს, რომლის თანახმადაც ვალდებულია შეადგინოს ფინანსურ ანგარიშგება (ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ (ბალანსი); ანგარიშგება მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების შესახებ; ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ და ფინანსურ ანგარიშგებაზე დაურთოს განმარტებითი შენიშვნები და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა. ფინანსური ანგარიშგება გამიზნულია მომხმარებელთა ფართო წრისთვის.

შპს "სამფარმა" ბუღალტრულ აღრიცხვას ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტული ფორმით.

მოქმედი სააღრიცხვო პოლიტიკიდან და საქმიანობის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აღრიცხვაში გამოყენებული მეთოდის ცალკეული დეტალი (წესები, ხერხები, ფორმები, პრაქტიკა) საჭიროებს განმარტებას. კერძოდ:

1. ხელფასის გაცემა ხდება ელექტრონულად, სს „თიბისი ბანკის“ მეშვეობით;
2. ზოგიერთ შემთხვევაში გამოიყენება ნაღდი ფულით ანგარიშსწორება;
3. საწარმო აწარმოებს საანგარიშსწორებო ოპერაციებს ეროვნულ ვალუტაში.
4. მოთხოვნები და ვალდებულებები აღრიცხება ცალკეული ობიექტების მიხედვით და იმ თანხით, რომლის გადახდაც უწევს საწარმოს. ამავე ღირებულებით (ანუ პირვანდელი ღირებულებით) ასახულია ის ანგარიშგებაში;
5. შეძენილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აქტივად აღიარდება შეძენის ფაქტიური თვითღირებულებით;
6. ცვეთის დარიცხვა ხორციელდება დარიცხვის წრფივი მეთოდით. ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები ასახულია ნარჩენი ღირებულებით;

7. მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან საქონლის მიღება და მიწოდება ანგარიშსწორება ხორციელდება ხელშეკრულებების საფუძველზე.

8. სახარჯი მასალა, საკანცელარიო და სამეურნეო საქონლის შეძენა ხდება მოთხოვნის საფუძველზე, შესყიდული საქონელი მიღება-ჩაბარების აქტით ბარდება ბრძანებით დანიშნულ პასუხისმგებელ პირს, რომელსაც მიჰყავს გაცემის აღრიცხვა და წარმოადგენს ყოველთვიურ ანგარიშს;

9. ყოველი წლის ბოლოს, ანგარიშგების შედგენამდე, ტარდება საბალანსო მუხლების ინვენტარიზაცია დირექტორის ბრძანების საფუძველზე. ინვენტარიზაციის შედეგები რეგულირდება დადგენილი წესების თანახმად;

საგადასახადო ვალდებულებები

10. საგადასახადო ვალდებულებების ნაწილში შპს "სამფარმა", მთლიანად ექვემდებარება საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნებს. ამასთან, აღრიცხვისა და ანგარიშგების მიზნებისთვის გამოიყენება საგადასახადო კანონმდებლობის ის ნორმები, რომლებიც მოქმედებაშია შესაბამის საანგარიშგებო პერიოდებისთვის.

11. შპს "სამფარმა", საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დღგ-ს გადამხდელად აღრიცხული არ არის(დღგ-იანი საქონლის ბრუნვიდან გამომდინარე).

12. ყოველ 12 თვის შესაბამის პერიოდში მოწმდება დღგ-იანი საქონლის ბრუნვა ფირმაში

დირექტორი:



სერგო ხოჯაშვილი

